

## განცხადება

სს “საქართველოს ბანკი”-ს დირექტორატი აცხადებს, რომ 2008 წლის თებერვალში განსაზღვრულია სს “საქართველოს ბანკი”-ს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 23 იანვარი, 17:00 სთ-ის მდგომარეობით.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები, ისევე როგორც კრების ჩატარების ადგილი და ზუსტი დრო გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.

სს “საქართველოს ბანკი”-ს დირექტორატი

### საქართველოს ბანკის შესახებ

საქართველოს წამყვანი უნივერსალური ბანკი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოსა და უკრაინაში, უმსხვილესი ბანკია აქტივების, სესხების, დეპოზიტებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით. „საქართველოს ბანკის“ საბაზრო წილი 33% შეადგენდა (2007 წლის 30 ნოემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით). ბანკი „გალტ ენდ თაგვარტის“ ინდექსის მთავარი შემადგენელი კომპონენტია. ბანკს აქვს 116 ფილიალი, ბანკი ემსახურება 600,000-ზე მეტ ფიზიკურ პირს და 60,000-ზე მეტ იურიდიულ პირს. ბანკი საკუთარ კლიენტებს მთელს საქართველოში სთავაზობს სამომხმარებლო საბანკო და კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ბანკი საკუთარ კლიენტებს აგრეთვე სთავაზობს სამომხმარებლო და კორპორატიული დაზღვევის მომსახურების ფართო სპექტრს შვილობილი კომპანიის „ალდაგი ბისიას“ მეშვეობით, აგრეთვე აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვის მომსახურებას.

მიმდინარე თარიღისთვის „საქართველოს ბანკის“ აქვს შემდეგი საკრედიტო რეიტინგები:

Standard & Poor's	‘B+/B’	სტაბილური პერსპექტივა
Moody's	‘B3/NP’ (FC) & ‘Ba1/NP’ (LC)	სტაბილური პერსპექტივა
Fitch Ratings	‘B+/B’	სტაბილური პერსპექტივა

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.bog.ge/ir](http://www.bog.ge/ir) ან დაუკავშირდით:

### ნიკოლოზ ენუკიძეს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
+995 32 444 103  
nicholas.enukidze@bog.ge

### ირაკლი გილაურს

გენერალური დირექტორი  
+995 32 444 109  
igilauri@bog.ge

### მაკა ეკიზაშვილს

ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი  
+995 32 444 256  
ir@bog.ge